


# საქართველოს მათერასი

იუმორისტ.  
ჟურნალი

№ 26

## უკურობა



დამშეულები. ეს მატარებელი განუწყვეტილად მოძრაობს და პური მინც არა გვაქვს!

# „ლოდოსნები“

„ჭეშმარიტათ ანის ნათქვამი, რომ სსეულის სიღამაზე წარმავალია. სსეუდი საქართველდოს სიღამაზის შესახებ დასტუნა, რადგან ეს სსეუდი მისი სსეუდის სიღამაზეს შეეხებოდა. ესლა მის ადგილს სუდიერი სიღამაზე დასტუნს. ჩვენი მოვალეობაა ჩვენი პატრიოტული აღზრდის სათავეში ის აზრი ჩავდეთ, რომ საქართველო ქვეყანაა უღამაზეს კულტურისა. ჩამოვიდოთ თახჩაზე ჩვენი ხანჯლები, ჩვენი ქულაჯები, მით უმეტეს, რომ მათი ტარება უკვე მივივიწყეთ და ზურგზე მოვიგდოთ ის ქვეები, რომელიც შემკულია ძვირფასი ჩუქურთმებით. ვისაც უნახავს ქაშუეთის ეკლესიას თბაღისში, ან ქართულა ბანკის ახალი შენობა იქავე, ნუ თუ არ უგრძენია „ამპარტავენობა“? **გაზ. „სამშობლო“ № 191.**

ქ. ქუთაისში, ამ ბოლო დროს, არა ჩვეულებრივი სანახაობა გახდირდა: ქალაქის ბულვარში და ქუჩებში კოპწიათა და ფუქსავატურიით მორთულ მოსიერნეთა ლეგიონს გამოერია ხალხი ახალი სამკაულით: ზბრალო კურტნით შემოსილ ახალგაზრდებს, და (მათ შორის ზოგ დარბაისელ პირებსაც) ზურგზე აძვეთ არქიელის გორიდან ჩამოტანილი, ძვირფასი ჩუქურთმებით, ბარელეთებ-ნაწნავებით შემკული ლოდები და გულის მომკვლელი ოხვრაქმენით უვლიან დაუსრულებელ წრეს.

წინდაუხედავსა და ქართული მწერლობისაგან ჩამორჩენილ ქალაქის ადმინისტრაციას, ახლაც სასაცილო მარცხი დაემართა. როდესაც პირველი „ლოდოსანი“, თავისი „პატრიოტული სამკაულით“ ბულვარის კარებს მიადგა, გზად პოლიციელი გადავლობა, ზრდილობიანი მუჯლუგუნი წაჭკრა და გზა უჩვენა. „ლოდოსანმა“ რასაკვირველია იუკადრისა ასეთი უპატივცემულო მოპყრობა მამულის კულტურისადმი და ხანჯალს ხელი გაიკრა, მაგრამ უნებლიეთ ჩაეცინა, ვინაიდან გაახსენდა, რომ „ხანჯალი და ქულაჯა მან უკვე თახჩაზე ჩამოჰკიდა“ და სახლში დასტოვა. სამაგიეროთ

— ხელი უმეცარო!

მრისხანე კილოთი შესძახა მან, მაკრამ პოლიციელიც გაჯიუტდა და ძალას დაადგა. „ლოდოსა-

ნი“ პოლიციაში წაიყვანეს. უბნის ზედამხედველი ქართველი და კეთილი კაცი გამოდგა. მან ნება მისცა „ტუსაღს“ თავისი ლოდით მდგარიყო და ისე მიეცა პასუხი საჭირო კითხვებზე.

— შენი სახელი?

— იაკობ.

— გვარი?

— ცინცაძე.

— წლოვანობა?

— ორმოც და ხუთი.

— ხელობა?

— ბელეტრისტი, იურისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, რედაქტორი, პედაგოგი და „ლოდოსანი“.

— რაო, რაო?

— ლოდოსანი!

— მგოსანი?

— არა, ლო-დო-სა-ნი.

— ვერ გამოიგია. ეს რაღა ხელობაა?

— ეს, ბატონო ჩემო, ახალი გზაა ჩვენი კულტურის გასაცნობათ.

— მოიძვრე ვე სიმძიმე და მიაშვე დალაგებით რაშია საქმე. იქნებ მთავრობა არაფერი არ ექნეს თქვენი საწინააღმდეგო.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ-ნო გუბერნატორო! თქვენ მოგვხსენებათ, რომ სხეულის სიღამაზე წარმავალია. ხოლო რაიცა შეეხება სულის სიღამაზეს, იგი მარადისი და უკვდავია. აი თქვენ თითონ ახლა შემოსჩერებიხართ ჩემს მშვენიერ თვლებს და ყურადღებას არ აქცევთ იმ სულიერ სიმშვენიერეს, რომელიც მე ზურგზე მკიდია. ეს არის ჩვენი სული. გაიგეთ?

— ბევრი ვერაფერი.

— ბ-ნო ბოჭაულო! თქვენც ხომ ქართველი ბრძანდები...

— მაგას დავანებოთ თავი.

— არა, მე ისე მოგახსენეთ. ჩვენ ქართველებს და მეტადრე ქართველ ქალებს, ლამაზებს გვიძახიან. მაგრამ ჩენი სიღამაზე ხომ წარმავალია...

— ქეშმარიტად, ქეშმარიტად. მე თითონ ვიცნობ ქალბატონ ფუცუს. წინეთ რო გენახათ მზეს ჩაჩრდილოვდა, ახლა კი.

— ჰო და აი უცხოელი ვინც მოდის ყველა ჩვენს ხორციელ სიღამაზეს ეტანება. არავინ არ დაეძებს ჩვენს სულიერ სიმშვენიერეს, ჩვენს ლოდებს. ჩვენს ჩუქურთმებს.

— მერე, მერე.

— მერე ისა, რომ ჩვენ, ე. ი. „სამშობლოს“ რედაქციის წევრებმა გადაწყვიტეთ ავიკლოთ ჩვენი სულიერი სილამაზის გამოხატულება, ჩვენი მშვენიერი კულტურის ნაშთი და ისე ვიაროთ. თქვენ თითონ ხედავთ, რაზომ ძნელია საქმე ჩვენგან ნაკისრი, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ყოველივე დაბრკოლებას და სიძნელეს სძლევს.

— სხვა დაფარული ხომ არაფერია თქვენს განზრახვაში?

— პირიქით, ჩვენ გვინდა ქვეყანამ დაინახოს ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი კულტურის სიმშვენიერე, რომ მოყვარემ ამპარტავნობა იგრძნოს და მტერს გული მოუკვდეს.

— მაშ წადი.

— მშვიდობით, ბრძანდებოდეთ. თქვენც ხომ არ ინებებთ ჩვენს პარტიაში...

— რაო? აბა ვის გაუგონია ჩვენი პარტია. წადი. მხოლოდ ხალხში ნუ ივლი. ამოდენა ლოდი რომ გაგივარდეს ვისმე ფეხს მოსტეხს კიდევ კარგი თუ ქართველი დარჩა, მაგრამ უცხოს რომ დაეცეს ხომ ხათაბალა ატყდება.

— მშვიდობით, მშვიდობით.

ამ ისტორიული საღამოს შემდეგ ყველას, ვისაც სამშობლოს ბედი კი აინტერესებდა, თავისუფლათ შეეძლო მამულიშვილური მოვალეობა მოეხადა. ბაგრატი ტაძრის ნანგრევებთან ერთი თვალსაჩინო ქვა აღარ დარჩა. თავგანწირული ახალგაზრდობა საფიჩხიას სასაფლაოსაც მოედვა და იქიდან სულ გამოზიდა სასაფლაოს ლოდები.

მაგრამ პატრიოტულმა სულისკვეთებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის ნაძირალებს გამდიდრების ზადა აღუძრა. გასაოცრად იქნა კურტნის ფასმა. თუ წინეთ კარგ კურტანს ოთხ-ხუთ მანეთად იშოვნდით, ახლა ოთხ-ხუთ თუმნად ერთ-მანეთს ხელში აგლეჯენ. კიდევ კარგი, თუ ამ გარემოებამ წარმოშვა და განავათარა ჩვენს ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში კურტნის წარმოება, მაგრამ უკეთუ ეს არ მოხდა, მოსალოდნელია „სამშობლოს“ რედაქციის ქეშმარიტ პატრიოტული განზრახულება შუა გზაზე შეჩერდეს უკურტნობის გამო.

ვუსურვოთ ბატონებო, რომ ეს დაბრკოლებაც დაეძლიოს ჩვენს კულტურის მოღარაჯეთა თავგანწირულ რაზმს.

## მოგზაურობა.

წაველ თბილისში, მოვინახე ბინა (წიგნი იაფად რომ შემეძინა)

თქვენი მორჩილი კი დაფაცურდა, მარა ვერ ნახა მას რაცა სურდა

და თუ აღმოჩნდა საქირო რამე (თუმცა ერთი ღღე იქ დავალამე)

ფასზე სათოფეთ ვერ წავეკარე და ბოლოს კარში გამოვიპარე.

მივხვთი მოგების იმედი წახთა, მოგზაურობაც საქირო გახდა.

საექსკურსიოთ ვარჩიე წასვლა.

მაშა დავითზე მომიხთა ასვლა.

გულდასმით ვსინჯე მე პანთეონი

(რასაც ველოდი ვერ ვნახე მგონი)

გული გამსკვალა რალაცა წყენამ (თუმცა იგი ვერ გამოსთქვა ენამ)

შემდეგ დიდუბეს ვესტუმრე მალე

ის წინა გრძობაც გამოვიცვალე,

იქ სულის შევებაც კი განვიცადე, თითქო ხელახლა იქ დავიბადე.

მეტეხიც ვნახე გარედმიდანა

(ფიქრობთ შიგ შესვლა არ მსურდა განა?)

გრძობაც მომაწვა მე მრავალ გვარი, მარა პირჩვედა ბუტ-ბუტით მტკვარი,

რომ გულზე ჯვარი გამოემესახა

ბარემ სიონიც იქვე მენახა.

ვიხილე კიდევ ბქენი სიონის

(ვიცოდი აზრი რა კირიონის)

დავუწყე შიგნით თვალიერება

(ქართულად რამე თუ ეწერება

ან უფალს თუ სძულს ქართული ენა უსაფუძვლოა ხომ ჩემი წყენა)

დაწვრილებით რომ მეცნა ყოველი

განგებ მოვინახე ჩვენი შოგველი\*)

ბევრი რამ მითხრა ტკბილი და მწარე სთქვა: „საქართველოს მზეი და მთვარე ჩაესვენაო შორე წარსულში“

(ქართულათ მითხრა რაც ქონდა გულში).

თან მდგომარესა და მომავალზე

ცრემლი მოადგა კინაღამ თვალზე.

\*) რომ არ იცნობდეთ მე არ მოველი.

მარა საჩქაროთ დასძლია გრძნობას  
 არ იშურებდა საჭირო ცნობას,  
 რომ ახლოს მოდგა ერთი მსახური  
 და ჩვენს მუსაიფს დაუგდო ყური!  
 (თუმცა პროტესტი არ განაცხადა)  
 მარა წაგვართვა „რაგადის“ მაღა.  
 სიბრძნე თუ არ გაქვს და თან მხნეობა  
 ძნელი ყოფილა მოღვაწეობა.

ბუტუნა.



# ღია წერილი.

ძმაო ბეკო!

წავიკითხე შენი მშვენიერი წერილი და კაკა-  
 ლი გული დამიამა. კაცო, თუ ცოცხალი იყავი  
 აქამდე რაფა არ გაგახსენდი შენი სიყრმის მეგობა-  
 რი, შენი ქაჭიჩი? სხვა რომ არა იყოს-რა, „სირცხვი-  
 ლია“ მეთქი გეტყოდი, მარა ახლა იმფერ დროში  
 ვცხოვრობთ, რომ ყველაფერი გაძვირებულია და  
 რაც შეეხება „სირცვილ-ნამუსს“ ამას ხომ სანთლი-  
 თაც ვეღარ იშოვი. ოოო, რა ძნელი ყოფილა,  
 ბეკოს ვენაცვალე, ეგ დარდანელის დაკეტვა!!

ყმაწვილო, კი გამეგონა მორეთ მოსვლა იქნე-  
 ბაო, მარა ამას რაფერ წამევიდგენდი, რომ ამფერ  
 გარამოებას შემასწრებდა ღმერთი?! იმე, პახოთობა  
 ჩემს დროშიც კი ყოფილა, და ჩემი ზახლაბუსტის  
 მენდალი კი იცი შენ რაიზა ჩამომკიდეს გულზე,  
 მაგრამ აგიიი, აგი პახოთობა კი არა, არ ვიცი შენს  
 სიყმეს ვფიცავ რაა!

სოფელი ყრუია, ძმაო, ყრუი იყო და ყრუი  
 იქნება, მარა ცოტა რაღაც ამბებს აქეთაც ფუჩუ-  
 ნობენ, რაცხა აქეთურ-იქითურს აქაც გეიგებ ამ  
 ქვეყნისას. მე, ჩემო ბეკო, ამ ბოლო დროს ნამეტა-  
 რი პენსიზმისტი შევიქენი და განაგონი კი არა, ჩე-  
 მი კაკალი თვალით ნახულიც აღარაფერი მჯერავს.  
 მარტო შენი სიტყვაა ჩემთვის უტყუარი ზაკონი  
 და რასაც შენ მეტყვი იგი იქნება ჩემთვის ზიარე-

ბა. კი იცი შენ მაგი პეკრეს გოროდი ოკრიბა არ  
 არის და ნასტავლ კაცებში გექნება მსვლელობა.  
 თვითონაც გაგებული კაცი ხარ და მომწერე ხანდის  
 ხან მისე კაკლა-კაკლათ შენი და ქვეყნის ამბავი.

ჯერ აქეთ მოგახსენებდენ გერმანეს ხემწიფე  
 კახეთის გზის გულობიზა წაეკიდა ინგლისის დედო-  
 ფალსო. იგი გზაი, თურმე, დიდ შემოსავალს იძლე-  
 ვა. ქე გეიგებდი აგერ ახლა ეირჩიეს ოზდაშვიდი  
 ღირექტორი და ერთი თავმჯდომარე და აბა რაფა  
 არ შეესპორებდა. საქმე სულს უნდა გაერჩიო კონ-  
 ფირენციაში, მარა პროკლოგმა ვარი უთხრა და  
 ატკაზა დაჰკრაო. ვეფო, იგი დალოცვილები, თუ  
 მართლა ამიზა წეიკიდენ, რაფა პატრონს აღარა-  
 ფერს ჰკითხავენ? წაფხდი და იქნება ამხელა ბაბაგა-  
 ნი გზაი ივენს უპატრონო ჰგონიათ? რა ვიცი?  
 აბა რაფაა!!!...

გუშინ ქიათურის პოვეზდში ყური მოვკარი  
 ერთი კაი ნასტავლი ხუცესი ლაპარაკობდა:—შვი-  
 ლო აგი ჩხუბი რატომ მოხდა ქვეყანამ იცისო.  
 შარშან წინ ფარაონმა სიზმარი ნახაო; ტყიდან  
 გამოვარდნილიყო ერთი მშვიერი მგელი ღ ათი ცხვარი  
 შეექამაო. დეიბარა ფარნაოზმა ყველა ქვეყნის მეც-  
 ნიერები და ვერაფერმა კაცმა ვერ აუხსნაო. ბო-  
 ლოს გამოჩნდა საცხა აფხაზეთში ერთი დედაბერი  
 და იმან ყველაფერი ისე ახსნა რავარც ახლა ჩვე-  
 ნი თვალთ ვხედავთო“.

კას ხანს ვუყურე ბეკოს სიცოცხლემ; რაღაც  
 კიდევ მექაშნიკა და არ მექაშნიკა. სიზმარი კი  
 მწამს, მარა ერთი სიზმრის გულიზა იმ დარდანელს  
 რაფა დაკილტავდენ, რა ვიცი!!

ახლა მოგახსენებენ: რუსეთში ერთმა ზროხამ  
 ენა ამოადგა და ყორისფელს ქეშმარიტს ლაპარა-  
 კობსო. ამან კი გამაკვირა სწორეფ, ბეკო ნუ მო-  
 მიკვდებო! დროი კია იმფერი, რომ სასტაული მო-  
 ხდეს, მარა ყველაფერს მაინც რაფა ათქმიებენ. ის-  
 თე, უნდა გამოგიტყდე, კი მიმწევს გული იმ ზრო-  
 ხის სანახავათ. შენ ნახლიც გეყოლება და ყვე-  
 ლაფერი, რუსეთი ხელის გულზე გიდევს და მომ-  
 წერე, ჩემო ბეკო, ყორიფელი გარემოება.

ბეკო ჩემო! ნუფერი გეწყინება შენი ჭირიმე!  
 ჩემს დროში წერას ნახშირით ასწავლიდენ ხარის  
 ბექზე და იქნება ისთე ვერ გამოვაკვარაჭინებო  
 წიგნი, რავარც შენ გეხერხება, მარა ხომ გაგაგებებ  
 მაირც რის თხოვა მინდა. ხარზე გამახსენდა, სო-  
 ფელში ამბობენ მაქ ერთი რაცხა საშინელი ჯიშის  
 მოზვერი ყოლიენ გაშობილი. ხატის ხარს რომ

ეტყოდნენ ჩვენში, ისეა თურმე შეწირული და ვაგლახათ ვერავინ წიკარება. უსხიო, ნამდვილი უსხი. სულ დაბუშქნა და დარქინა თურმე ხალხი. პანტასავით ისვრის თურმე ვინც წინ შეეფეთება. ბევრი დიდი და შეძლებული კაცი გააფუჭაო როგორც მოგახსენებენ. რავა, მართალია ბეკოს ჭირიმე, ყველა აგი, თუ მარტო სოფელური პროტია და სხვა არაფერი? ვინცხამ კიდევაც ესროლა, თურმე მაგრამ ერთი ტყვია რას უზამს, ბარკლის ტყავში გარჩა, რავარც ხოზიკას კაკალიო. იქნება აგი ყველა ჭორია, რავიცი, სოფელი ჭორზეა აშენებული.

სხვა, ჩემო ბეკო, გვეიგე პეტრედრადში შაქარი არა აქთო და ნამეტარი შევწუხდი. ტკბილ ჩაის ხარ მიჩოული და არ ვიცი რაფერ გოუძლებ უშაქრობას. შათათს ჩვენი სიკოლიეს ვაჟი მოდის მაქ სტუტენტათ და იმის ხელით უთუოდ გამოგიგზავნი ნახევარ ოცა შაქარს, ერთ-ორ შოთს და თუ წამოიღო ორ-სამ ნაპობა შეშასაც. აგი რას გიზამს, ოჯახის კაცი ხარ, მანამღე იქნება ის დარდნელის დუქანიც გააღონ და გვეშველოს რამე.


სამაგიეროთ, ბეკოს ჭირი კი შემეყაროს, გამომიგზავნე რამენაირათ ერთი ბოთში ნამთი. აქეთ ძლიერ გაძვირდა და აი ზამთრის ღამე ბნელაში რაფერ გავატარო. ჩვენ თუ ერთმანეთს არ გაუწიეთ შემწევობა რა გამოვა. თუ სამე ვიშონე მერე იმ ბოთლს ღვინით აგიფსებ და ისე გამოგიგზავნი. ღვინო ისე აღარ არის, ჩემო ბეკო, უწინ რომ იყო. ახლა ზიარებისთვისაც წყალნარევს ხმარობენ.

მომიკითხე შენი ჭირიმე შენი ოჯახობა და ჩემი ნათლიაშვილი პაპუნა, კი გეცოდინება მაქ ანტონობილზე მსახურობს. იყავი კეთილად და ბედნიერათ ამ პახოთობის გათავებამდე, მეტი ნუ გინდა.

შენი ძმა ქაქიჩ ღირღიტაძე.

ხოლო რადგანაც მან წერა არ იცოდა მის მაგიერ ხელს აწერს

მორიელი.



# შოთა რუსთაველი

(დასსრულო)

ვერის დაღმართთან ავტომობილთა ქარავანმა ისე მოულოდნელათა და სწრაფათ ჩაუხვია ქვევით, რომ ჩემმა შოფერმა ვერ მოასწრო ავტომობილის მოტრიალება და პირდაპირ გამაქანა. ამ ხიფათმა დამიკარგა მტაცებელთა გზა-კვალი და ის ღამე უშედგეო ძიებაში გავათენე.

მხოლოდ მეორე დღეს მივაგენი შოთას კვალს; შევიტყვე, რომ ის ერთ ჩვენ ცნობილ ინტელიგენტის ოჯახში იმყოფებოდა და გარს ეხვია უთვალავი ვუნდი ჩვენი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებისა.

ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შემიმსუბუქა შოთას დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. მე მრწამდა, რომ გენიოსი მხატვრის მუნყოფა ისეთ გავლენას მოახდენდა მის გარშემო არსებულ უნიჭობასა და უფერულობაზე, როგორც მთვარე ახდენს ხოლმე, მდორე ტბას რომ დაადგება თავის შუქით ღ ზედათას ქარგს დაჰხატავს, გრძნეულ ზღაპარს შეთხზავს და სამუსიკო ენით აამეტყველებს ტბის მკვდარ ზედაპირს. ვინ იცის, იქნებ შოთას შეხებამ ისევე იმოქმედოს ჩვენს მწერლებზე და საზოგადო მოღვაწეებზე, როგორც ანდამატის შეხება მოქმედობს რკინის ლურსმანზე და მათაც ისე გადაედოს შოთას დიადი ნიჭის ოდნავი ნატამალი მაინც, როგორც ლურსმანს გადაედება ხოლმე ანდამატის მიმზიდველობა მეთქი, ვფიქრობდი მე...

შოთას სანახავად რომ წავედი, ნაშუადღევს 2 საათი იყო. იმ ინტელიგენტის ბინაზე აღარავინ დამიხვდა. დიდი ძიების შემდეგ გავიგე, რომ ყველანი რკ. გ. სადგურზე წასულიყვენ; საჩქაროთ გავეშურე სადგურისაკენ, მაგრამ, სამწუხაროთ, იმ დროს მივუსწარი, როცა მატარებელი დაძრულიყო კიდევ და, ამის დაგვარათ, მეორეჯერ პირში ჩალა გამოვლებული დავბრუნდი ჩემ სახლში.

დაიწყო ჩვეულებრივი ლიტანია: განმეორდა ბუმბერაზი სახით ის, რაც ყოველთვის ხდება ხოლმე ჩვენში, საქართველოს რომ ვინმე საპატიო სტუმარი ეწვევა. ვასაოცარის ენერგიითა და გატაცებით შეუდგენ შოთას ქალაქ-ქალაქ და დაბა-დაბატარებას და ბანკეტებისა და სადილ-ვახშმების მართვას. მთელი საქართველო ფეხზე დააყენეს და

სიტყვებისა, ხოტბა-შესხმის და კრიტიკულის წე-  
რილებების შადრევანები დაუზოგავად აუშვეს...

სამი კვირის მოგზაურობის შემდეგ, როგორც  
იყო, თბილისს დაბრუნდნენ და ძლივს მელირსა  
შოთას ხელახლა ნახვა. თვით დიდებულ მგოსანს  
მოესურვებინა ჩემთან წამოსვლა და სრულიად მო-  
ულოდნელათ მომადგა კარს. ჩემს სიხარულს საზ-  
ღვარი არა ჰქონდა. მთელ ამ ხნის განმავლობაში  
ნიადაგ მასზე ფიქრობდი და ათასი აზრი და სა-  
კითხი მოსვენებას არ აძლევდა: როგორ დასთმო  
ამდენ ხანს თამარი? რა შთაბეჭდილება მოახდინა  
აწინდელმა საქართველომ და ქართველებმა? რო-  
გორი გავლენა განიცადეს ჩვენმა ინტელიგენტებმა  
შოთასაგან, რაოდენ ღრმათა და საფუძვლიანათ  
შესცვალა შოთამ მათი უნაყოფო, ფუქსივადი და  
უნიქო ბუნება? და მრავალი სხვა ამგვარი კითხვე-  
ბი მიტრიალებდა თავში.

აღტაცებით მივეგებე და სალაში მივეცი:

— კრულ იყოს ჟამი იგი, ოდეს ზრახვამან  
ბორცოტამან განმაშორა სახე შენი ნათელი...  
დიდება განგებასა, რომელმან კვალად ჩემთანა მო-  
გიყვანა და ღირს მყო ხილვად სიხარულისა გული-  
სა ჩემისა!— გულის სიღრმიდან აღმომხდა მე და  
ანგარიშ მოუცემლათ დავეწაფე მის მარჯვენას.

შოთამ ხელი დამანება სამთხვევათ, მარცხენა  
ხელი ზურგზე მომითათუნა და მხიარული სიცი-  
ლით მითხრა:

— გამარჯობა, კაცო! სხვა, როგორა ხარ?  
როგორი დროება გაატარე. ჰა... ხა-ხა-ხა-ხა!

მე თვალები დავაქვიტე და გავშეშლი, ისე  
ფულგარულათ მეჩვენა ეს მღაბიო სიტყვები, შო-  
თას ბაგეთა მიერ წარმოთქმული.

— რას მომჩერებხარ? ხა-ხა-ხა-ხა! ვერ მი-  
ცანი?... ვერ წარმოიდგენ, რა ჩინებულათ ვიმოგ-  
ზაურეთ! შენ რად არ წამოხვედი, ჰა? მე და ჩემმა  
ღმერთმა ძალიან მიჰქარე! ვითომ რაო, არ ეკად-  
რებოდა ბატონ თავუნას რომ შოთა რუსთაველს  
ჰხლებოდა თუ?

პირში ნერწყვი გამიშრა და თავხარ დაცემუ-  
ლი ერთ ადგილას ვიდექ უძრავათ

— იცი, რა გითხრა, ჩემო კარგო? მე როგორც  
ვხედავ, შენ სიტყვის ამოღებას დღეს ვერ ვეღირ-  
სები. თუ ჩემი ნახვა გინდა, სადამოს, ასე 11 საათ-  
ზე, ქართულ კლუბში მოდი, იქ ვიქნებით ვახშმათ...  
ეხლა კი მშვიდობით...

— მამ...მამო... მოიცადეთ!—ძლივს წავილუ-

ღლულე მე, შოთა რომ კარებს მიადგა გასასვლე-  
ლათ. მოტრიალდა და გაჩერდა.

— მაპატიეთ, ბატონო შოთა, მაგრამ ერთი  
რამ მიბრძანეთ ღვთის გულისათვის: როგორ...რო-  
დის... როგორ მოხდა ესა?—გაქვივრებით წარმოვ-  
სთქვი მე.

— დასწყევლოს ღმერთმა! მე შენი არაფერი  
მესმის... რა როგორ მოხდა, ქრისტიანო?—გაიკ-  
ვირვა მან.

— რას ნიშნავს თქვენი ეგეთი ცვლილება?  
— ახ, ღმერთო დიდებულო! კაცო, ხომ არ  
გავიფიდი, რა ცვლილებაზე ლაპარაკობ?

— ნუ თუ თქვენ უღალ... დაივიწყეთ თქვენი  
თამარი?—პირდაპირ მივახალე მე.

— ვინ თამარი?... განა თამარს არ ეყოფა,  
რაც მისთვის ცრემლი დავღვარე და შრომა დავ-  
ხარჯე? განა ჩემი „ვეფხისტყაოსანი“ თამარისთ-  
ვის არ დავწერე? ცოტა ხოტბა შევასხი თამარს?  
ეხლა, ჩემო კარგო, ის მკვდარია, მე ცოცხალი  
და ტყუილად კი არ ამბობს იესო ქრისტე, „ეცა-  
დღე მკვდარნი დაფლვად მკვდართა თვისთაო“!

მხოლოდ ეხლა დავაკვირდი შოთას გარეგნო-  
ბას და გული კიდევ უფრო მომიკვდა: მის მშვენიერ  
თვალეში ციური ნიჭის მეტყველება გამქარალიყო  
და სამაგიეროთ ყოველ დღიურ ამოცების, უაღრუ-  
სი კმაყოფილებისა და მედიდურობის ბექედი შიგ.  
წინათ მკრთალი, მარმადილოს მსგავსი, ლოყები  
ახლა დაჰბრაწოდა და ამოვსებოდა. ტანთ ილია  
ჩინებულათ შეკერილი ევროპიული კასტიუმი და  
ხელში ბაგე დაკეცილი ქუდი ეჭირა.

— ნახვამდის, ბატონო შოთა! უკაცრავათ,  
რომ შეგაჩერეთ,—ნადვლიანათ ვკითხე მე.

— მაშ კლუბში მოხვალთ, არა? ყველა ჩვე-  
ნები იქ იქნებიან!—მომამახა მან და წავიდა...

მეც ქუდს დავავლე ხელი და გიჟივით გავი-  
ქერი ქუჩაში. გოლოვინის პროსპექტზე გიგო და-  
ვინახე, ეტლით მომავალი. დამინახა თუ არა, წამ-  
სვე გააჩერა ეტლი.

— იყო შენთან?—დამიყვირა გიგომ შორიდან-  
ვე, ვიდრე მისვლას მოვასწრებდი.

თუმცა გული საშინლად მიცემდა და სულს  
ძლივს ვითქვამდი ბრაზისაგან, მაგრამ მაინც თავი  
შევიკავე.

— კაცო, რა უყავით იმ კაცს? ვითომ გულ-  
დამშვიდებით ვკითხე გიგოს.

— ჰა! შეატყე, განა? მაშ ჩვენ გახლავართ!

შენთან რომ დაგვეტოვებინა, დღესაც ისე გიჟივით იქნებოდა, თვალეხ ანთებული და პირ ჩატეტკილი! ძლივს კაცს არ დავამსგავსეთო ზჰ, რა გენიოსია! რა გენიოსია, კაცო! რა გენიოსია!

— გიგო, თუ ღმერთი გრძამს, ერთი ეს მითხარი, როგორ მოხდა ეგ სასწაული? როგორ...

— სასწაული მოვანდინეთ, მაშ!—გამაწყვეტინა გიგომ: ჰა-ჰა-ჰა! მართლაც რომ სასწაული...

— ჰო, სასწაული... როგორ დავიწყეთ თამარი?

— ჰა-ჰა-ჰა! საკვირველია, განა?—ხარხარებდა გიგო.—არ გეტყვი. შენ გინდა სეკრეტი გავგიგო... არ შეიძლება,.. მართლა, ხუმრობა იქით იყოს და ორ დღეს ისე იყო კრიჭა შეკრული და თვალეხ აპყრობილი, რომ ვერაფერს ვერ გავხდით, ვერაფერს! მესამე დღეს კი, ქუთაისში, კიტამ სიტყვა წარმოსთქვა თეატრში, „შოთას საღამოზე“. იცი რა სიტყვა იყო? Это шедевр! рекордъ! მოიცა, როგორა სთქვა? ჰო... „რომ შეიძლებოდეს სასწორის ერთ ჯამზე ჩვენი შოთას დასმა, ხოლო მეორეზე—ჰომიროსის, ფიდიასის, სოფოკლეს და პლატონის ერთად, თქვენ დაინახავთ, როგორის სიმძიმით დაეშვება შოთას ჯამი და რა სიმსუბუქით აითამაშებს ჰაერში საბერძნეთის ბუმბერაზთა კრებულო...“ შესანიშნავი იყო... სწორეთ ამ სიტყვის შემდეგ გაუქრა თვალეხში შოთას ის გიჟური რაღაცა გამომეტყველება რომ ჰქონდა... თამარიც აღარ უხსენებია შემდეგ. Ты понимаешь, онъ сдѣлался безпартійнымъ! ღმერთს გეფიცები!.. კი არ გამისოციალდემოკრატო, ჰა-ჰა-ჰა!—გადინხარხარა გიგომ.

— მერე, მერე, გიგო, ჩავეძიე მე: სხვა ცვლილება როგორღა განიცადა. ძალიან საინტერესოა, კაცო!

— სხვა თავისთავად მიხვდა Все время между нами вращался, არსად კი არ უშვებდით მარტოკას, გაზეთებს ვაკითხებდით, ერთი სიტყვით ВЛІЯЛИ КАКЪ МОГЛИ! მივალწიეთ კიდევ მიზანს, არა? ეხლა კი ჩვენია! ჩვენი ეხლა აღარსად წავგივა! ты знаешь, онъ обѣщалъ мнѣ сотрудничать въ моей газетѣ... я вѣдь скоро буду издавать! მაშ!..

გამოვემშვიდობე და სახლში წავედი.

გიგომ მართალი სთქვა: ეხლა ის „ჩვენია“ ჩვენის ნამდვილი ჩვენი!

ჩემ ოთახში რომ შევედი, ტირილი ამივარდა. შოთას როდი ვტიროდი! ან, რა უნდა ჰქონ-

დეს სატირალი იმ დიდებულ შოთას. რომელმაც თავისი ღვაწლი 8 საუკუნის წინ მოიხადა ბრწყინვალეთ საქართველოს წინაშე და რომლის ხორც-შესხმა და ჩვენ უბადრუკ ცხოვრებაში ჩაბმა მე შევთხზევი... მე ვტიროდი უტყუარ ნიქის იმ ნორჩ კოკრებს, რომელნიც ღერძვევე დავაზრეთ, ეხლაც ვაზრობთ და მომავალშიც მრავალს დავაზრობთ გაუფურჩქნელათ

ვერავინ ვერ იხილავს მათი თასის სილამაზეს და ვერ იყნოსავს სურნელებას...

რადგან ჩვენ გვყავს ჩვენი „მოწინავე“ საზღაოება, გვყვანან ჩვენი „კრიტიკოსები.“

თავუნა.

# შ ა რ ა ლ ა

კვანძი ცუდათ დაიხლოართა, აირია მონასტერი! ირგვლივ ბრძოლა გაიმართა ჩვენც მოგვადგა კარზე მტერი. გაიზარდა ამის გამო გაჭირება დარღ-ვარამი, და მეც ისე, დარღისაგან, ხელთ ავიღე დღეს კალამი. იქ გავყევი ფიქრის მორეგს, სად სქექს, გრგვინავს ზარბაზნები: მწკვრივდებიან ჯარის-კაცთა ყოველ მხრიდან სად რაზმები. სად კალამი, სად მე, მაგრამ რატომ ვიჯდე სულ წყნარადა! ამიტომაც გადავწყვიტე; დამეწერა ეგ შარადა.

ტკბილი ძილი როცა გინდათ მასზე უნდა დასდოთ თავი. მეტად რბილი საგანია, და ლოგინის მოსართავი. ყველამ იცის ეს საგანი, მასზედ არვინ დაფიქრდება. მაშ ამ სიტყვის ჩვენ პირველი ნახევარი დაგვიჩრდება.

ეხლა უნდა აქ სხვა სიტყვა, მოვიგონოთ უფრო რთული, რომელზედაც დღეს ყოველგან განგაშია გამართული.


მას უჭირავს თვის ჩარჩოში  
ხალხის ნება და სურვილი.  
მის გარეშე არვის ძალუძს,  
რომ მოიკლას რამ წყურვილი.  
მისი აზრი, მნიშვნელობა,  
ცვალებადი არის ხშირად.  
თავის სასარგებლოდ შეცვლა,  
ყველასათვის ჯდება ძვირად.  
სამ მარცვლოვანი სიტყვაა,  
ექვსი ასოდგან შემდგარი.  
შუა გავსკრათ, მივიტანოთ  
ერიში მასზედ მედგარი.  
ჩვენს მასალას მივუმატოთ  
ნახევარი კვლავ პირველი,  
მეორე კი რაჭველების  
ქალაქია ძველის ძველი.

სახელმწიფოს ვახსენებ ერთს  
ეხლა ომის მწარმოებელს.  
მტრის ზარ დამცემს, მრისხანეს, დიდს,  
იერიშთა მომგერებელს.

რომლის ფრთებსაც თავს ვაფარებთ  
და ვღვზავებით სამსხვერპლოზე,  
ჯარის კაცებს იქ უთვალავს,  
შორს შინაურ სამშობლოზე.  
შარადისთვის საჭიროა  
ეს სიტყვაც რომ შუა გავსკრათ.  
ბოლო მისი ნახევარი,  
რაც მზათა გვაქვს მას მივაკრათ.

წაიკითხეთ და გამოვა  
ადგილისა აწ სახელი,  
სადაც ეხლა საომრადა  
გაუწვდია ყველას ხელი.  
მას შესცქერის თითქმის ყველა,  
იქ ღვივდება ცეცხლის ალი.

პეტრე.




თ. ი. შინგ.


ექ. მინასიანცი. გააღე კარები რაღა. შეშის ზიდვაც ჩვენ გვიხდება და მაინც უმადური არიან.  
ფერ. უიფიანი. ჩვენს თავგანწირვას ომის გათავებამდე ვინ დააფასებს, ბ-ნო ექიმო.



# ახალი დასი



ვ. გუნია და ვასო ჭაბაშვიძე.



ბ-ნი ა. იმედაშვილი.

# გურული ენაკვიმატები.

## III.

(კიდევ კოსანდილე შალაკაშვილი).

### კოსანდილე შვამავალი.

მოხუცების ხანს კოსანდილემ შვამავლობა დაიწყო. ერთი ყმაწვილის ცოლის შერთვის საქმე კიდევ გააწყო, მაგრამ ჯვრის წერის დროს სასიძოს სასიძამრომ ხუთი თუმანი მიაკლო. სასიძო ამის მიზეზით ჯვარს არ იწერდა. ერთმა მაყართანმა კოსანდილეს უთხრა:

— კოსანდილე, მე არ მგონია აგი ქალი და კაცი ერთმანეთის ბედის იყოს, დაანებე თავი, უბედოთ საქმე არ გაკეთდება.

— რას ბეუტურობ თუ იცი, რაა ბედი, დეიქცა შენი ოჯახი, მუუმატე ხუთი თუმანი და ბედი იქნება.

### კოსანდილე და გაზეთი.

გურის სახალხო სამკითხველოს შენობას აკეთებდა ცნობილი მასწავლებელი არ. წითლიძე. კოსანდილეს ნაადრევი მაქარი ჰქონდა დაყენებული. არ. წითლიძემ კოსანდილეს კაცი გაუგზავნა და ღურგლებისათვის მაქარი სთხოვა. კოსანდილე ცრუ მორწმუნე არ იყო, მაგრამ ჰურის მოთხრა შეეზარა, თუ ღვინის გაცემა მოციქულს ასე უთხრა:

— დღეს ჰას ვქნი და გაცემას ვიძძი.

— კოსანდილე, მაგი ცრუ მორწმუნეობაა, აგას შენ არსენი გაზეთში დაგიწერს.

— აბდალაი ხართ შენც და შენი არსენიცი ბიჭო, ვინც მე მიცნობს იგი არც ერთი გაზეთს არ კითხულობს და ჩემმა უცნობმა ჩემი ამბავი გინდა წეიკითხოს, გინდა კერიას არტყას თავი.

### კოსანდილე და ტირილი.

ძველად, როცა გურიაში ხარჯიანი ტირილი იცოდენ, მიცვალებულის ტირილის გადასახდელი სამზადისათვის მეზობლური თათბირი გაიმართებოდა. კოსანდილეს ერთი მოხუცი მეზობელი გარდაეცვალა, გაიმართა თათბირი, თუ რითი იტირონ. კოსანდილე ამბობს:

— მე თუ მკითხავთ, ბატონებო, ტირილი უნდა კურცხლით და ლობიეთ. ლობიას ბევრს ჰამ გაგბერავს; უბეში ჩეიდებ დაგბილწავს. ლობიეთ ტირილი მიცვალებულსაც დაშვენდება და იოლათაც გამოხვალ. იზამ ბატონო ხორცი

ვერ უუთავდები ვეფერთ და მოტირალი შიმშილით მოკტება, რასაც მიაართუმ უბეში ჩეიდებს და შინ წეიდებს.

თებში კიდევ უკეთესი მოსაპარავია... კას პატიოსან კაცს ჩონა ქონდა გაბზეკილი განზე, მე შორს შემოუარე ფიშტო ქონდა მეგონა წელში გარტობილი, თურმე ტყულათაი მეშინოდა, დოშით ყოფილა ბატონო შესილადული.

### პერპეტუმ მობილე.

## ანალიზი.

(ცაიშადან)

ერთს მშვენიერ დღეს ს. ცაიში, დუქნების კედლებზე, განცხადებები აკრეს. ცნობის მოყვარეობამ დამძლია და წავიკითხე. იქ ეწერა:

„გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამიერიდან ჩვენს ფურნეებში იყიდება ზედ მიწვენით სუფთა, ახალი პური, და რომ ექვი ამაში არავის შეეპაროს, დასამტკცებლად აქვე მოვიყვანთ ჩვენს ფურნეებში გამომცხვარ პურის ანალიზს.

ერთ გირვანქა, ანუ 96 მისხალ პურს შეადგენს:

ნახშირი . . . . .	22 მისხალი
ნაცარ-ტუტა . . . . .	16 „
ჭია-მატლები . . . . .	12 „
ბუზები და თავვის კული. . . . .	20 „
ტალახი და სხვა ამგვარი . . . . .	6 „
წყალი . . . . .	14 „

სულ. . . 90 მისხალი.

დანარჩენი 6 მისხალი წმინდა პურია. ამ შემადგენელ ნაწილთა უმეტესი წილი ძლიერ რგებს კუჭის ავთამყოფობას და სხვა სნეულებათაც. განსაკუთრებით მიაქციეთ ყურადღება თავვის კუდებსა და შემწვარ ტარაკანებს.

პატივისცემით ს. ცაიშის მუხურქნი.

ვაცნობებ რა ზემო აღნიშნულს, უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნ ეშმაკს გამოაქვეყნოს ეს საინტერესო ცნობა სხვა ჩვენი ქვეყნის მეპურეთა საყურადღებოთ. ვინ იცის, იქნებ სადმე არის ისეთი მიყრუებული სოფელი, სადაც ასეთი პურის ცხობა არ იციან და ნებსით, თუ უნებლიეთ მეპურენი ხალხს ჯანმრთელობას უკარგავენ.

ეშმაკის მოციქული.



## მესტვირული.

(ქ. აზურგეთისათვის)

წინასიტყვაობა.

1

მარტოობა უიმედო...  
ფიქრი, სევდა, ცრემლთა ღვარი;  
კვნესა, გმინვა ობოლ სულის  
და ცხოვრება განამწარი...  
მწარე სიტყვა მეგობრისგან,  
არსით ტკბილი საუბარი...  
მარტოობა, ბატონებო,  
ძნელი არის, ძნელი არი!..

წრფელი სიტყვა, გული სწორი  
არვის უნდა, არვის უნდა;  
ის ვერ ვპოვე, ის ვერ ვნახე,  
რაც მინდოდა, რაიც მსურდა...  
სული ეძებს—დაიღალა;  
გრძნობა ღელავს—დაუძლურდა—  
სიჭაბუკის იმედები  
ოხ, რა რიგათ გამიცრუვდა...

ვისთანაც მიველ, სადაც ვიყავ,  
ყველგან შური, ყველგან მტრობა...  
ვერვინ მითხრა წრფელი სიტყვა,  
ვერსად ვპოვე თანაგრძნობა...

არსაიდან ხმა ნუგეშის,  
არც იმედი, აღარც ნდობა...  
ნეტავ—ფუჭი სიტყვებია  
„ერთობა და მტკიცე ძმობა!“.

ვერვინ ვპოვე გულის სწორი,  
ვერვის ნდობით მოვეკიდე;  
ობლათ დავალ ყრუ სოფელში,  
კაცთა ხილვას განვერიდე...  
მოვიკრიბე მოთმინება,  
მოვიკრიბე გრძნობის რიდე,—  
მაგრამ ამით გულის წყლული  
კიდევ უფრო განვიდიდე...

მთლად მომბეზრდა ყველაფერი,  
მუდამ ფიქრი... მუდამ ზრუნვა!  
გულზედ მადევს მძიმე ლოდი,  
სულს მიწყლულებს სევდა-ურვა...  
მუდამ მჩაგრავს, მავაგლახებს  
ულმობელი დროთა ბრუნვა  
და... მაგრამ ეჰ... მეზიზღება,  
მეზიზღება ბედის მღურვა...


მო, ჩამოვკრავ ისევ სტვირსა,  
ვაწრიპინებ, ვავაგლახებ...  
ჩემს ტანჯვას და მწუხარებას  
მთელ ქვეყანას დავანახებ...  
ვანბატკბილებ ჩემს ქამანჩას,  
ნაღვლიანათ შემოვსძახებ,  
„ქირსა შიგან გამაგრება“-ს  
ბედით ჩაგრულთ ვუკარნახებ...

მაშ, აბა, ჰა ჩემო სტვირო,  
ადიდინდი შენებურა;  
ამდენი ხნის უქმათ ღებულს  
სიმღერა ხომ მოგეწყურა?!  
რა ვუყოთ, თუ ბევრი ვინმე  
უსამართლოთ დაგვემღურა!..  
გაჯავრებულთ ასე ვუთხრათ:  
გააქენეთ თქვენ გრძელ-ყურა\*)

\*) ბ-ნი გ. ჯავახის ტერმინოლოგიით „გრძელ-ყურა“ ჰქვია ვირს.

მაშ, მოყვი, რაღას უცდი?  
ჩვეულებრივ იგრიალე...  
რაც კი ძაღვიძს ამოუშვი,  
ამას გთხოვ და დამავალე...  
მაგრამ... დღეს-კი დავისვენოთ,  
მგონი შენაც დაილაღე,—  
და რაც გვსურდა დღეს სათქმელათ,  
ჩვენ განვაგრძოთ იგი ხვალე...

მ. ცხვირადე.



გავათავე კრეფა\*)

(გურჯული სცენა)

გავათავე კრეფა! ვიცი, მკითხავთ—ასე მალე, წიფობისთვის გათავებამდე რაფერ გაათავევო? რა ბრძანებაა! აქამდეც ცხრა ჯერ გავათავებდი, მარა გავაპოწოლიკე, შემრცხვა. სხომის ქრიშობისთვეში ჩამიწვედა და ახლა ქე მოვსპოტე უტბათ ყველაფერი; ჰაი, ჰაი, ნენავო, რაფა გამიშა ძველი დროი ხელში! აგი, აგერ გუშამ იყო, მე კი ასი წლის წინეთ იყო მგონია. კრეფას მაშინ ქონდა გემო, აბა, ახლა რაღა არის. რომ დავპატიჯებდი სიმინდის სატეხელში გლახუნას, პეტრიას, ივანიკას, გოგეას, სიმონიკას, ასე ოცდა ხუთ კაცს რომ შუყურიდი თავს, დარეჩრაქებამდი მუხლ მოუღუნავათ ვტებლით და ვტებლით სიმინდს, ვახვავებლით და ვახვავებლით ნალიეს ქვეშ, იყო ერთი ხეღხვავის სიმღერა და კიეინი, ხასანბეგურა და ალიფაშა! საღამოს, გიყვარდეს ქალიშვილების ნადი საქურჩნავში\*\*) ჩამოვპატიჯებდი მეზობლის ქალიშვილებს: ფუნდუკიას, სუნდუხტას, ბუჭუტიას, შუშანას, ეშხანას, ელბიტას, მაინჯას, თინიას, ხვარამძიას, ასთე ერთ ოცდა ათ ქალიშვილს მაინც შეუყურიდი ერთად თავს. ვქამდით ვახშამს თვარა, მივდგებოდით და გათენებამდი ვქურჩნიდით და ვქურჩნი-

\*) კრეფას გურიაში—ჭირნახულის მოწვევას, შენახვას ეტყაიან.

\*\*) სიმინდს გაურჩეულად, ფუნჩი მოუცილებლათ დაახვავებენ ნალიას ქვეშ, საღამოს მოიპატიეებენ ქალიშვილებს სიმინდის საჩრეველ, რასაც გურიაში სიმინდის ქურჩენას ეძახიან.

დით ნალიეს ქვეშ. იყო ერთი სიცილი, კირკიცი, სიმღერა და მხიარულება, დავაძიგინებდით გოდრებს და იალა!.. ნალიაში! გამოვბესკინდი კარგათ ნალიას და ქე ვიყავი გულდამშვიდებული. ჰაი, გილი ბიქო, რა დროი იყო! აბა, ახლანდელ კრეფას კრეფა ჰქვია? წამევიკიდე ჩემი გორიციი ზრუგზე და გუუყვი ესეს ქედში, ყანაში; არც ნადი და არც რამე, ბარე ერთი ათი მგზავრობა კი ვქენი და ჩალიან, სიმინდიან, ლობიოიანებ ქე მოვსპოტე თელად. ააა! აგი იყო ჩემი კრეფა წროულს.

ახლა ღვინო რამდენი დავაყენე არ მკითხავ? ჰმ! რამდენი და კაი ორი ჩაფი! მაგასაც ვერ დავაყენებდი, ჩემს ცოლს, ბუჭუტიას რომ არ ეყაძახებია. გიდელი სულ არ გამიტანია ხეზე, ყველაი ბუდეთ გუუყეთე ქათმებს. აბა! საწნახელი სულაც არ გადმომიბრუნებია; შამოვიკრავდი ყაბალახს წელზე, გევილოდი ხეზე, ნახევარს რაც იყო ზედ აღესაი, ქე შევქამდი... არა კარგათ ქე დამწიფებულიყო, მეჩხრათ რომ იყო. მომავონდებოდა აგიდელო, დევიწყებდი: „აგიდელი, ახალი, ახალი“ მეთქინ, მარა სად იყო ან ახალი და ან ძველი გიდელი, სულ არ მინდოდა ჩამოტანა ყურძნის ძირს, ერთ გაძლომაზე არ მყოფნიდა, მარა შამომიდგებოდა ქვეშ ჩემი ცოლი ბუჭუტიე, და სულ ასე ჩხაოდა: „კაცო, საფელამუშე მაინც გამოვჩეთ რამე, ტკბილის კვერი და ჯანჯუხა რომ გავაკეთოთო? ვაი, შენ მიეწიე გაბილა კოტრიკაძეს, ტკბილის კვერი კი არა, მჭადის კვერი არ გექნება, რა გეტკბილისკვერება მეთქინ, მარა ხომ იცი ქალების საქმე, რომ ეიჩემებს, ეიჩემებს, კბილის ძალითაი ერთი ოცდა ათი ღერი ჯანჯუხა და სამი სუფრა ტკბილის კვერი მაინც გააკეთა და ჩაკილტა უბედურათ ზანდუკში, მარა იმის ოსტატობა კი ვიცი, როცა დამჭირდება, მაშინ გამოვძურწავ იქიდან ასე გათავდა ბატონო, ჩვემი კრეფა წელს, ვნახოთ გაისათ რა იქნება.

ლუკაიეს ობოლი.





# მოსსენება

გურიანთა. შიმშილობა ხალხს აწუხებს,

ცივი მჭადი ენატრება,  
ამავე დროს, შესაქმელათ  
მეზობელი ევლინება.

დამბალ სიმინდს ფასად ყიდის,  
დრო დაუდგათ მოსაგები,  
არ შერჩებათ მაგ ბოროტებს  
საწყლის ზურგზე ანადები.

ბევრი არის ჩვენს კუთხეში  
მაწანწალა ასეთები,  
მალე მიინდა აშკარა ვყო  
მათი გვარი, სახელები.

ბევრი ლანძღვა შევეუთვალათ,  
ვინც მდიდრდება ძმისა ზურგზე,  
ამავე დროს ხალხთან არის,  
ლაპარაკობს სიყვარულზე.

ვაჭრებმა ხომ დრო იშოვნეს,  
გახსნილი აქვთ დიდი მადა,  
„ოთუზ ბირაა“ დაგვიფასეს  
საქონელი ცუდი, სადა.

ამნაირათ გაგვისუქდა  
ბევრი პირი არამზადა,  
გადაუსვათ მათ მათრახი,  
წავამწართ ტკილი ქადა.

აღვირ-ახსნილ პირებთაგან  
ლდეს ზარალი დიდი არი,  
დასმენა და ლალატობა  
გახდომიათ სანუკვარი.

ზოგი პირი იმათ ვერ სცნობს,  
მათთან არის მეგობარი,  
სჯობს შევსწვეტოთ ასეთ პირთან  
მეგობრობა, საუბარი.

დროა ვიცნათ მანე პირი,  
გავარჩიოთ მტერ-მოყვარი,  
წინსვლის გზაზე უნდა დადგეს  
მთელი კუთხე, არე-მარე.

ბუჯგუტი.

მას ჩაჭერენია სულ ყველა,  
ყველას სურს თავის სახლშია,  
(იმას არავინ კითხულობს  
თუ რა უწყვიათ დახლშია!)  
გულმოსაკლავათ ჰყვირიან  
სოფლის გულ-შემატკივრები,  
საქმით კუტები, საწყლები,  
სიტყვით კი დიდი გმირები.  
ერთი-მეორეს ლანძღავენ,  
შფოთავენ, არა ცხრებიან,  
თვითონვე აღარ იცინ  
რას აკეთებენ, შვებიან.

სამი სოფლისა გარშემო,  
გაჩაღდა ჩხუბი, ომია,  
ჩვენ ერთი სკოლა გვიგდია  
აქ ყველას სკოლა სდომია?

ჭაგნელი ბზიკი.

სოფ. არაშენდა. ხედავთ ავიღე ქამანჩა

და ავამღერე სტვირია,  
მსურს ვათქმევირო უენოს  
რაც გვადგა გასაქირია.  
ზემორე სოფელს ვეწვიე,  
სად არის მართლის პირია,  
სად გაჩენილა ციება,  
სახადი, შავი ქირია;  
სადაც არიან მრავალნი  
ანაცრემლ, ანატირია,  
სადაცა მეფობს უბრალო  
მუქთა მოხელე გზირია.  
გულს გაუხეთქავს შაქრუას  
ღრიალით დანაყვირია.  
ქირისუფლებსა მივმართავ,  
ფოშტის მსახურთა მტირალთა,  
ობლათ დაშთენილ წერილოებს,  
შკაფიდან გამომზირალთა.  
და შევაჩერებ ქამანჩას,  
თორემ სათქმელი ბევრია  
შემდეგისათვის გადავდოთ,  
რაც დამრჩა მოსაწერია.

3-ა.

სოფ. ჭაგანი. ვაი რა ღლეში ჩავარდით,  
სად გამოვზარდოთ შეილები?  
ერთი სკოლა გვაქვს, იმასაც  
გვართმევენ დალოცვილები!

დიდი ჯიხანიში. აი რასა გთხოვ ეშმაკო,  
თუ შეგიძლია შენაო,  
ისეთი რამე გვასწავლე  
შეგვეძლოს ჩქარი ფრენაო,



რომ ზედ მოვაჯდე, მოვკურცხო,  
საითაც მოჰქრის ქვენაო,  
თორემ გასქირდა ჩემი აქ  
მშვიდობით გადარჩენაო.

ვისზედაც რამე დავსწერე,  
ვისაც დაუწყე კბენაო,  
სუყველამ თავი წამოყო  
აშკარად მიწყო ღრენაო.

ვაქარნი, მღვდელ-დიაკონი,  
კარტის ვისც უყვარს ფენაო,  
ჯაშუშნი ამა სოფლისა,  
ვისაც გრძელი აქვს ენაო..

გოგია მლანძღვა გინებით  
ბაზარი შეაჯერაო,  
„ტანტრაზედ“ ხელი დაიდო,  
„გესლიანს“ დამეტერაო,

ვიფიქრე ბიჭი კიკოლა  
არ იქნეს ამის წერაო,  
ტრუბაში შევძვერე, იქიდან  
დავუწყე ჩუმათ ცქერაო.  
აბა შენ იცი ეშმაკო,  
თუ დაგვიფარავ შენაო.

კიკოლა ბიჭი.

## დეპეშები

**დიდი ჯიხანიში.** მომავალ კვირას ჩვენში გა-  
მოვა ადგილობრივი ფოსტის უფროსის რედაქტორ-  
გამომცემლობით ყოველ დღიური საპოლიტიკო  
გაზეთი „ქორი“. გაზეთს ფაქტიურ ხელმძღვანე-  
ლობას გაუწევს ცნობილი ჟურნალისტი ლ. ზ—ლი,  
თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ბაქარა ფრა-  
ფისტ-ნარდისტები. რედაქცია დროებით მოთავსე-  
ბულია ლევანას დუქანში. ტელეფონი № 102.

— ადგილობრივი ნორმალური სასწავლებლის  
ზოგიერთ მასწავლებელთა მედგარმა იერიშმა ვერ  
გასჭრა. საგრძნობელი ზარალით უკან დახვედნეს  
და ექვს ოქტომბერს უმაღლეს პირველ დაწყებით  
სასწავლებელში სწავლა უკვე დაიწყეს. ამბობენ  
ძალას იკრებენ და ამ მოკლე ხანში სერიოზული  
შეტაკება მოხდება.

— ერთ კვირაზე მეტია ჩვენში ფრაბა არ უთა-  
მაშნიათ. მიზეზათ ქსენონ. აფთიაქის კომიტეტს და  
ექიმის შორის მომხდარ უთანხმოებას ასახელებენ.

ისარი.

**ს. ცაიში.** მიუხედავად იმისა, რომ თანამედ-  
როვე ომმა სანოვაგე ერთი ათად გააძვირა, აქაური  
ვაჭრები ძალიან „პატიოსნად“ ირჯებიან და სა-  
ქონელს იაფ ფასებში ყიდიან.

აი მაგალითად გირვანქა ნავთს 20 კაპ. შაქარს  
30 კაპ., საპონს 35—40 კ. გირვანქა ხორცს 30  
კაპ. და სხვ.

— მდინარე ჯუმზე ხიდის უქონლობის გამო  
ეკლესიაში სიარული შეწყვეტილია. ამას წინათ მი-  
ცვალებულს მიასვენებდნენ; პროცესია უნდა გასუ-  
ლიყო მდ. ჯუმზე. მიცვალებული ურემზე დაასვე-  
ნეს და შვა წყალს რომ დაუახლოვდა, ურემი გა-  
დაბრუნდა; ხარები გადაარჩინეს, მაგრამ მიცვალე-  
ბული კი დაიხრჩო. ამ „სკანდალმა“ საზოგადოე-  
ბაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; ხიდი კი...

— ხიდის უქონლობის გამო შკოლაში მოწა-  
ფეები ჰაერობლანით დაფრინავენ. შკოლაში ბინის  
უქონლობის გამო ერთ-ერთი მასწავლებელი დამეს  
ქერს ზევით ათენებს.

ეშმაკის მოციქული.

**ველისციხე.** ს. ქერემის მამასახლისი სწერს  
ველისციხის მამასახლისს: „ძმაო და დილა მეგო-  
ბარო! ნუ დაივიწყებთ, რომ პატივი გეცი და პირ-  
ველი წყლის გამოშვებით (ამ წლის 7 თიბათვეს)  
მოგირწყევი და „გაგაიხიტე“ თქვენდამი რწმუნებუ-  
ლი საზოგადოების როგორც გარე-მიდამოები, აგ-  
რეთვე სარდაფები, (რომლებშიაც ბევრი რამ ხალ-  
ხისათვის საჭირო ნივთი და მათ შორის შაქარი  
იჩქმალეზოდა). მაგრამ დღეს, როგორც ჩემდამი  
რწმუნებულ საზოგადოების მიერ ამორჩეულ სისუ-  
ფთავის ზედმეხედველთ დამარწმუნეს, თურმე თქვენ  
მოვაქრეთა დუქანების გარშემო ისეთის სიბინძური-  
თა აქვთ დაცული, რომ კაცთმოყვარეობის სურ-  
ვილით აღქირვილი, იძულებული ვხდები, ქერე-  
მის ორსვე დიდი ტბები მოგხსნა, წინანდელზე მო-  
მეტებული წყალი დაგაქანო თქვენკენ და ამითი  
ერთხელ და სამუდამოთ გაგცუფთაოთ მთელი მი-  
დამოები ველისციხისა.

ზღარბი.





გაუფრთხილდით თავიანს ჯანმრთელურას — მიირთვით

# უპირისპირება

მოითხოვით უფლებას  
ბილეთ-მადნეულის  
სამკურნალო




— შინდის ჩურჩით გაკეთებული ბატი პირში ნერწყვის მომგვრელია, შინდით შეზავებული ფლავიც ოპ, რა გემრიელია! შინდის მურაბით ჩაიც დამილევია და ძლიერ მომწონებია! შინდის კერკს დიდ მარხვაში ლობიოს საკმაზათ უშვრებიან, ერთი ჯამის მაგიერ ორსაც შეჭამ — კარგია რაღა! შინდის ტყლაპი ორსულ დედაკაცებს ძლიერ უყვართ. ტყეში შინდის საკრეფათ წასული გოგონები, შინდით ლოყა წითლები, ძალიან გიჟობენ და კას დროსაც ატარებენ. შინდი, რომ კარგია და კარგი მეგ ბავშობიდან ვიცოდი, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ შინდის წყალი მომზადდებოდა და ასეთი მშვენიერი რამ იქნებოდა. ჩემი ნუ გჯერათ, თვით მიბრძანდით წყლების პროფესორ ლალიძესთან მოითხოვეთ

### შინდის წყალი

და ნახეთ ლალიძის ეს ახალი გამოგონება საპრემიო თუ არ არის! მაშ!!





## ტრადიკული მომენტი

### უცხო სიტყვათა ახსნა.

(ასკანისთვის)

**გზები**—ტბები და ქაობები, სადაც უნაფოთ გასვლა შეუძლებელია.

**სამკითხველო**—დაწესებულება, სადაც წიგნები ხელ-უხლებელ სიმდიდრეს წარმოადგენენ, ხოლო გაზეთები კი, გამფრინავ ჩიტებს.

**სასამართლო**—მხოლოდ ცხელ-ცხელი „რეჩების“ წარმოსათქმელი ადგილი.

**სკოლის დარბაზი**—ერთად-ერთი ადგილი, სადაც თავისუფლად შეუძლიათ თხებს გასეირნება.

**ლანძღვა-გინება**.—აუცილებელი მოთხოვნა ივანე ხუცესისა წირვის შემდეგ.

**კოოპერატივი**. დაწესებულება, საიდგანაც ერთ კვირაში თუ მიიღებ საჭირო ნივთს „ხელჩქარი“ ნოქრის წყალობით.

**კრება**—ხალხის დასაცდენათ მოგონილი საშუალება, რომელიც ყოველ-დღე იმართება და კითხვებს არასოდეს არ არჩევს.

**სამიკიტნო „თეირანი“**. დაწესებულება ინტელიგენციის „მალარიჩი“-სათვის.

ქაჭვი.